ანგარიში
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ
2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბერამდე პერიოდში
გაცემულ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომ - კოდექსი) 49-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში გაცემულია შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. კოდექსის 49-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით:

- საანგარიშო პერიოდში (2024 წლის 10 დეკემბრიდან-2025 წლის 10 დეკემბრამდე) სააგენტოში შემოსულია 12 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. ყველა მათგანზე გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადებში.

- მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სააგენტოს დირექტორის და სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) ირინე გიორგობიანის მიერ.

2. კოდექსის 49-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტთან დაკავშირებით:

- სააგენტოში პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.